სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#17 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2024 წლის 2 თებერვლის #15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “კ“ და „რ“ ქვეპუნქტების, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის, ასევე 184-ე მუხლის 1 პუნქტის “კ” და “ს” ქვეპუნქტების შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი საერთო კრება **2024 წლის 17 ივნისს, 10:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36; სხდომაზე დასწრება ასევე შესაძლებელი იქნება დისტანციურად, ელექტრონული სისტემების მეშვეობით.

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - დღით ადრე და დღიური ბაზრების მომსახურების საფასურების განსაზღვრის შესახებ;
   - გენერალური დირექტორის სასამსახურო პირობების განსაზღვრა.
2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2024 წლის 17 ივნისი,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - საფასურებთან, მათ გაანგარიშებასთან და გავლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია
   - გენერალური დირექტორის სასამსახურო ხელშეკრულების პროექტი
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

გადაწყვეტილება მიღებულია 17.06.2024

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი (მ.შ.)

Irakli Galdava

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2024.06.17 09:29:59 +04'00'

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
წლიური საერთო კრების ოქმი #17/2024 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2024 წლის 2 თებერვლის #15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “კ“ და „რ“ ქვეპუნქტების, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის, ასევე 184-ე მუხლის 1 პუნქტის “კ” და “ს” ქვეპუნქტების შესაბამისად,

გენერალური დირექტორი (მ.შ.) საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, გამომდინარე კანონის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან.

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

საკითხი #1დღით ადრე და დღიური ბაზრების მომსახურების საფასურების განსაზღვრის შესახებ;

საერთო კრებას ეცნობება საფასურებთან, მათ გაანგარიშებასთან და გავლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკითხი #2: გენერალური დირექტორის სასამსახურო პირობების განსაზღვრა.

საზოგადოების წესდებისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრას უზრუნველყოფს საერთო კრება.